



ობლიგაციების შეთავაზების პრეზენტაცია

ივნისი, 2025



წინამდებარე პრეზენტაცია არ წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების შეთავაზებას, საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს არ რჩევას. პოტენციურმა ინვესტორმა ფასიანი ქაღალდების შეძენის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პროსპექტზე დაყრდნობით. წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს, და შესაძლოა არ მოიცავდეს ყველა იმ ინფორმაციას, რაც საჭირო ან სასურველია შპს „ალმა“ (შემდგომში „კომპანია“) სრულად და ჯეროვნად შესაფასებლად; წინამდებარე დოკუმენტი არ მოიცავს ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან/და გაყიდვის შეთავაზებას.

ეს პრეზენტაცია არ წარმოადგენს პროსპექტს ან შეთავაზების შემორანდუმს და არ უნდა იქნეს განხილული რეკომენდაციად იმასთან დაკავშირებით, რომ რომელიმე ინვესტორმა შეიძინოს რომელიმე ფასიანი ქაღალდი. ეს პრეზენტაცია არ წარმოადგენს და არ უნდა იქნეს განხილული ოფერტად, ოფერტზე მოწვევად ან შეთავაზებად ნებისმიერ ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შემდგომში შეიძენს ფასიან ქაღალდებს აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გაეცნოს და დაეყრდნოს მხოლოდ პროსპექტს, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც შესაძლოა შეძენილ იქნეს ფასიანი ქაღალდები. დამტკიცებული პროსპექტი ხელმისაწვდომი იქნება ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე, შემდეგ ინტერნეტ ბმულზე: <https://nbg.gov.ge/supervision/public-companies>. კომპანია აცხადებს, რომ, პრეზენტაციაში წარმოდგენილი ინფორმაცია შესაბამეა პროსპექტს. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, კომპანია, განთავსების აგენტები, და ნებისმიერი სხვა პირი, გამოირიცხავს თავის პასუხისმგებლობას, კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში, ნებისმიერი პირის მიმართ პრეზენტაციაში მოცემულ ინფორმაციაზე ნებისმიერი დაყრდნობის/გამოყენების შედეგად ან კავშირში დამდგარი/განცდილი რეალური თუ პოტენციური ნებისმიერი პირდაპირი თუ ირიბი ზიანისა თუ ზარალისთვის.

პრეზენტაცია მიზნად არ ისახავს ფასიან ქაღალდებში კაპიტალდაბანდებსა და დაკავშირებული რისკების შეფასებას. პოტენციურმა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები.

ეს პრეზენტაცია და მისი შინაარსი არ არის დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

პრეზენტაციაში მოცემული ინფორმაცია არ არის დადასტურებული დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ არც კომპანიის, არც განთავსების აგენტებისა და არც მათთან დაკავშირებული პირის დავალებით. კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, არც კომპანია, არც მისი რომელიმე წარმომადგენელი და არც განთავსების აგენტები არ იქნებიან პასუხისმგებელი ნებისმიერ იმ ზარალზე, რომლის წარმოქმნაც შესაძლოა რაიმენაირად კავშირში იყოს ამ პრეზენტაციასთან. კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, განთავსების აგენტებს არ დაეკისრებათ არანაირი პასუხისმგებლობა ამ პრეზენტაციაზე სრულად ან ნაწილობრივ დაყრდნობის შედეგად ნებისმიერ პირის ნებისმიერ პირდაპირ, არაპირდაპირ ან ირიბ ზიანზე ან ზარალზე.

სამომავლო გათვლებთან/შეხედულებებთან დაკავშირებით არსებული გაფრთხილება: წინამდებარე პრეზენტაციაში მოყვანილი დაშვებები და განცხადებები არის მხოლოდ შეხედულებები და სამომავლო გათვლები კომპანიის შესახებ. მომავალზე ორიენტირებული განცხადებები ხშირად შეიცავს ისეთ სიტყვებს როგორებიცაა: მოსალოდნელია, სჯერა, ვარაუდობს, არსებობს აზრი, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი. ეს სიტყვები ასახავენ კომპანიის ამჟამინდელ შედეგს სამომავლო მოვლენების შესახებ, რომლებიც თავისთავად შეიცავენ რისკს და გაურკვევლობას. არსებობს რიგი ფაქტორებისა, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს მოსალოდნელი განვითარების კურსი, ასეთი ფაქტორებია, მაგალითად რეგულაციების ცვლილება, ბაზარზე გაზრდილი კონკურენცია, შესყიდვებისგან წარმოქმნილი რისკები, საპროცენტო და სავალუტო რისკები ან ისტორიული ვალდებულებებისგან წარმოშობილი რისკები და სასამართლო რისკები. არც კომპანია და არც მისი მენეჯმენტი არ არის პასუხისმგებელი პრეზენტაციაში გამოთქმული მოსაზრებების აკურატულობაზე ან პროგნოზირებული მოვლენების უტყუარ განხორციელებაზე. აქ წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია პრეზენტაციის მომზადების მომენტისთვის კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის გამოყენებით. გარე ან სხვა ფაქტორებს შესაძლოა გავლენა ჰქონოდა კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე და პრეზენტაციაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე პრეზენტაციის მომზადებიდან დღემდე. ამასთან, შესაძლოა კომპანიასთან დაკავშირებული ყველა რელევანტური ინფორმაცია არ იყოს წარმოდგენილი ამ პრეზენტაციაში. არც კომპანია, არც განთავსების აგენტები და არც რომელიმე დაკავშირებული პირი არ იღებს ვალდებულებას დამატებითი ინფორმაციის მოწოდებაზე ან წინამდებარე პრეზენტაციის განახლებაზე.

წინამდებარე პრეზენტაცია და მასში მოყვანილი ინფორმაცია კონფიდენციალურია, წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას და აკრძალულია მისი სრულად ან ნაწილობრივ რეპროდუქცია, დისტრიბუცია, გადაცემა, ან მასში მოყვანილი ინფორმაციის რაიმე სხვა ფორმით გავრცელება მესამე პირზე პირდაპირ ან არაპირდაპირ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირი წარმოადგენს ინვესტორის პროფესიონალ მრჩეველს), ან გამოქვეყნება სრულად ან ნაწილობრივ ნებისმიერი მიზნით კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე. თუ წინამდებარე პრეზენტაციის მიღება მოხდა შეცდომით, მისი დაბრუნება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ. წინამდებარე პრეზენტაციის მიმღებმა პირებმა, მასში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით არ უნდა განახორციელონ ინვესტიციასთან ან პროდუქტთან დაკავშირებული ისეთი ქმედება, რომელიც გავლენას მოახდენს ბაზარზე ვიდრე აღნიშნული ინფორმაცია არ გახდება საზოგადოდ ხელმისაწვდომი.

პრეზენტაციაში მოყვანილი ფასიანი ქაღალდები არ იქნება შეთავაზებული იმ იურისდიქციებში, სადაც ამგვარი შეთავაზება იქნებოდა უკანონო წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, ან იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ფასიანი ქაღალდები არ არის განთავისუფლებული რეგისტრაციის ან დამატებითი კვალიფიკაციის მინიჭებისგან ასეთი იურისდიქციის მიერ.

წინამდებარე ინფორმაცია არ უნდა იქნეს განხილული როგორც რეკომენდაცია კომპანიის ან განთავსების აგენტების, ან მათთან დაკავშირებული პირის (ამ ინფორმაციის მიმღები პირის ჩათვლით) მიერ, რომელიც მონაწილეობას იღებს კომპანიასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ტრანზაქციაში.

ეს პრეზენტაცია არ არის განკუთვნილი, მისაწოდებლად ან გამოსაყენებლად ნებისმიერი ისეთი პირის მიერ, რომლის იურისდიქციაში ასეთი მიწოდება ან გამოყენება ეწინააღმდეგება კანონს ან რეგულაციას.

პრეზენტაციის მიმღები პირების მხრიდან დაუშვებელია ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც გავლენას იქონიებს ბაზარზე. პრეზენტაციაში აღნიშნული ფასიანი ქაღალდები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტით, და არ იქნება შეთავაზებული ან გაყიდული ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებში ან ამერიკის მოქალაქეებზე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფასიანი ქაღალდები რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტით ან განთავისუფლებულია რეგისტრაციის ვალდებულებისგან. კომპანიის ფასიანი ქაღალდები არ დაურეგისტრირებია და არ აპირებს დაურეგისტრიროს ან განახორციელოს საჯარო შეთავაზება არანაირი ოდენობით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ეს კომუნიკაცია განკუთვნილია ა) პირისთვის, რომელიც იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, ან/და ბ) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება. ნებისმიერი საინვესტიციო აქტივობა, რომელსაც ეხება წინამდებარე კომუნიკაცია ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ შესაბამისი პირებისთვის. ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის შესაბამისობაში ზემოთ მოყვანილ შეზღუდვებთან, არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს ან იმოქმედოს ამ კომუნიკაციის შესაბამისად.

მითითება სტრუქტურასთან დაკავშირებით

პრეზენტაციაში წარმოდგენილია ინფორმაცია როგორც თავად „ემიტენტზე“ ასევე „შვილობილ კომპანიებზე“ (შემდგომში „ჯგუფი“), თუმცა „შვილობილ კომპანიებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა ინფორმაცია წარმოდგენილია მხოლოდ საინფორმაციო მიზნითა და მარეგულირებლისა და კანონმდებლობის მოთხოვნით, და აღნიშნული გავლენას არ ახდენს შემდეგზე:

- ა) „ობლიგაციების“ ძირი თანხის, ისევე როგორც „საპროცენტო სარგებლის“ გადახდა წარმოადგენს მხოლოდ „ემიტენტის“ ვალდებულებას;
- ბ) „ობლიგაციების“ პირობები ვრცელდება მხოლოდ „ემიტენტზე“ და არ წარმოშობს რაიმე სახის ვალდებულებებს „შვილობილი კომპანიების“ მიმართ. ამასთან, „ჯგუფის“ მონაცემების გამჭვირვება არ ქმნის შვილობილი კომპანიების რაიმე სახის გარანტიას ობლიგაციონერების წინაშე და გავლენას არ ახდენს „ობლიგაციების“ პირობების ინტერპრეტაციაზე.

პრეზენტაციაში „შვილობილი კომპანიების“ შესახებ ინფორმაციის წარდგენის მიზანია პოტენციური „ინვესტორები“ გაეცნონ „შვილობილი კომპანიის“ შედეგებს, ვინაიდან მათ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებს შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა ჰქონდეთ „ემიტენტის“ ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებზე. „კომპანიის“ „შვილობილი კომპანიებისა“ და აფილირებული/დაკავშირებული საწარმოების უმეტესობა არის განვითარების ფაზაში და შესაბამისად, არ აგენერირებენ საოპერაციო შემოსავლებს. აღნიშნული კომპანიების მიერ მოგების მიღების გარეშე ფუნქციონირების შემთხვევაში, „ემიტენტს“ შესაძლოა შეუმცირდეს აღნიშნულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა, დასჭირდეს მათი დაფინანსება და/ან გაეზარდოს მათგან მიღებული ზარალი.

- ობლიგაციის საორიენტაციო პირობები
- კომპანიის მიმოხილვა
- დამფუძნებლებისა და მენეჯმენტის შესახებ ინფორმაცია
- ძირითადი ინდივიდუალური ფინანსური მაჩვენებლები
- საქართველოს სარეკლამო ბაზარი
- მაკროეკონომიკური მიმოხილვა
- ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები
- დანართები



შეთავაზების საორიენტაციო პირობები

საბოლოო პირობები დაზუსტდება საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებისას



ემიტენტი	▪ შპს „ალმა“
სექტორი/ინდუსტრია	▪ სარეკლამო ბაზარი (გარე რეკლამის სექტორი)
ობლიგაციის ტიპი	▪ არასუბორდინირებული და არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები
შეთავაზების მოცულობა	▪ 30,000,000 აშშ დოლარამდე
ნომინალური ღირებულება	▪ 1,000 აშშ დოლარი / 1 ცალი
ვალუტა	▪ აშშ დოლარი (\$)
გამომშვების საორიენტაციო თარიღი	▪ [11] ივლისი, 2025
ვადა	▪ 2 წელი
გამოსყიდვის ოფცია	▪ 1 წლის შემდეგ, ობლიგაციების ძირი თანხის 100.5%-ად;
გამომშვების ფასი	▪ ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%
კუპონის დიაპაზონი	▪ წლიური ფიქსირებული კუპონი [8.00% - 8.50%], (საბოლოო კუპონი დადგინდება book-building-ის შედეგად)
მოზიდული სახსრების გამოყენება	▪ არსებული საბანკო ვალდებულებების რეფინანსირება
კუპონის გადახდის სიხშირე	▪ ნახევარწლიური
განთავსების აგენტები	▪ სს „გალტ ენდ თაგარტი“ და შპს „თიბისი კაპიტალი“
ლისტინგი	▪ ადგილობრივი საფონდო ბირჟა
მარეგულირებელი კანონმდებლობა	▪ საქართველოს კანონმდებლობა

შეთავაზების საორიენტაციო პირობები

საბოლოო პირობები დაზუსტდება საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებისას



ემიტენტი	▪ შპს „ალმა“
სექტორი/ინდუსტრია	▪ სარეკლამო ბაზარი (გარე რეკლამის სექტორი)
ობლიგაციის ტიპი	▪ არასუბორდინირებული და არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები
შეთავაზების მოცულობა	▪ 8,500,000 ევრომდე
ნომინალური ღირებულება	▪ 1,000 ევრო / 1 ცალი
ვალუტა	▪ ევრო (€)
გამომშვების საორიენტაციო თარიღი	▪ [11] ივლისი, 2025
ვადა	▪ 2 წელი
გამოსყიდვის ოფცია	▪ 1 წლის შემდეგ, ობლიგაციების ძირი თანხის 100.5%-ად;
გამომშვების ფასი	▪ ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%
კუპონის დიაპაზონი	▪ წლიური ფიქსირებული კუპონი [7.00% - 7.50%], (საბოლოო კუპონი დადგინდება book-building-ის შედეგად)
მოზიდული სახსრების გამოყენება	▪ არსებული საბანკო ვალდებულებების რეფინანსირება
კუპონის გადახდის სიხშირე	▪ ნახევარწლიური
განთავსების აგენტები	▪ სს „გალტ ენდ თაგარტი“ და შპს „თიბისი კაპიტალი“
ლისტინგი	▪ ადგილობრივი საფონდო ბირჟა
მარეგულირებელი კანონმდებლობა	▪ საქართველოს კანონმდებლობა

ძირითადი დათქმები და ობლიგაციონერთა დაცვის მექანიზმები



პერიოდული და მიმდინარე ანგარიშგება

- აუდიტირებული წლიური ანგარიშგების გასაჯაროება არაუგვიანეს 15 მაისისა;
- არა-აუდიტირებული ნახევარწლიური ანგარიშგების გასაჯაროება არაუგვიანეს 30 აგვისტოსა;
- კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მიმდინარე ანგარიშგება;
- საჯაროდ ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდებზე:
 - [ემისიის პროსპექტი](#)
 - [წლიური აუდიტირებული ანგარიშგება](#)

ძირითადი ფინანსური დათქმები

ფინანსური ვალდებულებების EBITDA-სთან ფარდობა

„გამოსყიდვის თარიღამდე“ ნებისმიერი „ანგარიშგების თარიღზე“ ემიტენტის „წმინდა ფინანსური ვალდებულებების“ ოდენობა EBITDA-ს მაქსიმუმ 4.5-ჯერ უნდა აღემატებოდეს;

თავისუფალი აქტივების კოეფიციენტი

ემიტენტს აქტივების „უზრუნველყოფის საშუალებად“ დატვირთვა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი აქტივების კოეფიციენტი შეადგენს მინიმუმ 80%-ს;

სესხის მომსახურების კოეფიციენტი

ემიტენტს ეკრძალება დივიდენდის გაცემა, კაპიტალის განაწილება, სესხის გაცემა ან შვილობილ კომპანიაში შენატანის განხორციელება, თუ სესხის მომსახურების კოეფიციენტი 1.1-ზე ნაკლებია.

დამატებითი ვალდებულებები

საქმიანობის გაგრძელება/შენარჩუნება

აფილირებულ პირებთან ტრანზაქციების მეზღუდა

ქონების შენარჩუნება

* დათქმები ვრცელდება ინდივიდუალურად კომპანიაზე და არ ზღუდავს მის შვილობილ საწარმოებს;

- ობლიგაციის საორიენტაციო პირობები
- კომპანიის მიმოხილვა
- დამფუძნებლებისა და მენეჯმენტის შესახებ ინფორმაცია
- ძირითადი ინდივიდუალური ფინანსური მაჩვენებლები
- საქართველოს სარეკლამო ბაზარი
- მაკროეკონომიკური მიმოხილვა
- ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები
- დანართები



კომპანიის მიმოხილვა (1/2)



შპს „ალმა“ გარე რეკლამის განთავსების სექტორში საქართველოს ბაზარზე წამყვანი კომპანიაა, რომელსაც 30-წლიანი გამოცდილება აქვს. კომპანია ფლობს სხვადასხვა ტერიტორიაზე სარეკლამო საშუალებების დადგმის და მათზე რეკლამის განთავსების უფლებასთან დაკავშირებულ ნებართვებსა და ლიცენზიებს.


ემიტენტი ნებართვებს იღებს შესაბამისი ქალაქის/რეგიონის მუნიციპალიტეტისგან, რისთვისაც იგი მუნიციპალიტეტს უხდის ერთჯერად ან ყოველწლიურ გადასახადს. ნებართვის მოპოვების შემდეგ იგი იწყებს შესაბამისი სარეკლამო კონსტრუქციის შენებას, მშენებლობის დასრულების შემდეგ კი სარეკლამო საშუალებებს აქირავებს მომხმარებლებზე.

ძირითადი სარეკლამო საშუალებები:

კომპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით 10-მდე სარეკლამო საშუალებას სთავაზობს მომხმარებელს გარე რეკლამის სფეროში, ესენია:




მონიტორები




ბილბორდები



ლაითბოქსები



მეტრო



ავტობუსები



მოსაცდელები



აეროპორტები




ბექდვა / მონტაჟი

ბექდვა / მონტაჟი:

ალმა გააჩნია საკუთარი სტამბა, რისი საშუალებითაც კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ბანერების და სხვა სარეკლამო მასალების ბექდვის სერვისს.

შემოსავლების ჩაშლა სარეკლამო საშუალებების მიხედვით, 2024



- ბილბორდები
- მონიტორები
- ბექდვა/მონტაჟი
- აეროპორტები
- ლაითბოქსები
- მეტრო
- მოსაცდელები
- ავტობუსები

- ალმა მომხმარებლებს სთავაზობს გარე რეკლამების განთავსებას როგორც ტრადიციულ ბილბორდებზე, ასევე, ხიდებზე, შენობების ფასადებზე, სახურავებზე და კომპანიის საკითრებაში არსებულ სხვა სარეკლამო კონსტრუქციებზე;
- კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ვიდეო-რგოლების განთავსების შესაძლებლობას მონიტორებზე. მონიტორებზე შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის კონტენტის გაშუქება, როგორც ვიდეო-რგოლებისა და კლიპების, ასევე, სტატიკური რეკლამის, GIF-ების, სლაიდშოუსა და ა.შ.;
- ემიტენტი ფლობს ექსკლუზივის თბილისის მეტროში, თბილისის და ბათუმის ავტობუსებსა და მოსაცდელებში, თბილისისა და ბათუმის აეროპორტებში რეკლამის განთავსებაზე.

კომპანიის მიმოხილვა (2/2)



2024 წლის შემოსავლები

ლ 65.7 მლნ

ლ 50.2 მლნ 2023 წელს

2024 წლის EBITDA მარჯა

74.9%

73.9% 2023 წელს

ლიცენზიების ვადიანობა

10-59 წელი

ბილბორდების რაოდენობა

1,200-ზე მეტი

1

წამყვანი პოზიცია ბაზარზე

ალმას, როგორც ბაზარზე ყველაზე დიდ კომპანიას გარე რეკლამების ინდუსტრიაში, საქართველოს მასშტაბით ექსკლუზიური უფლებების უდიდესი ნაწილი აქვს მოპოვებული და თბილისის ბაზრის 90%-ზე მეტს ფლობს.

2

ექსკლუზიური ლიცენზიები

კომპანიას მოპოვებული აქვს საქართველოს ყველა სტრატეგიულ ლოკაციაზე სარეკლამო საშუალებების განთავსების ექსკლუზიური ლიცენზია, მათ შორის თბილისის მეტროში, თბილისის და ბათუმის ავტობუსებსა და მოსაცდელეში, თბილისისა და ბათუმის აეროპორტებში.

3


სანდო და სტაბილური მომხმარებლები

კომპანიის ძირითადი მომხმარებლები არიან დიდი კორპორაციები სხვადასხვა სექტორიდან, მათ შორის: რითილი, საერთაშორისო ორგანიზაციები, ფინანსების, სამედიცინო, კვების, ფარმაცევტიკის, დეველოპმენტის და სხვა სფეროების წარმომადგენლები.


4

გეოგრაფიულად დივერსიფიცირებული შემოსავლები

კომპანია 10-მდე სარეკლამო საშუალებას სთავაზობს მომხმარებლებს როგორც თბილისის, ისე საქართველოს სხვა დიდი ქალაქების ტერიტორიაზე (ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, თელავი და ა.შ.);



განვითარების ისტორია




გეოგრაფიულად დივერსიფიცირებული შემოსავლების წყაროები

თბილისი	ბათუმი	რეგიონები
 ქალაქის მუნიციპალურ ტერიტორიაზე მყოფ სარეკლამო საშუალებებზე რეკლამის განთავსების 15 წლიანი ექსკლუზიური ნებართვა (ვადა გასდის 2036 წელს);	 მოიცავს ბათუმის მუნიციპალურ ტერიტორიაზე მყოფ სარეკლამო საშუალებებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება. ნებართვა 10 წლიანია და ვადა გასდის 2034 წელს;	 კომპანიას მოგებული აქვს ზუგდიდის მუნიციპალურ ტერიტორიაზე გამოცხადებული ყველა აუქციონი, იგი ასევე ფლობს ქუთაისის მუნიციპალური ტერიტორიის დაახლ. 60%-ს, ისევე როგორც ნებართვებს გორში, რუსთავში, მარნეულში, ქობულეთში და ა.შ.
 თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტზე რეკლამის განთავსების 20 წლიანი ნებართვა (ვადა გასდის 2041 წელს);	 ბათუმის ავტობუსებზე რეკლამის განთავსების 30 წლიანი ნებართვა (ვადა გასდის 2050 წელს);	 კომპანია ფლობს რეკლამის განთავსების ნებართვებს ქუთაისის, ზუგდიდის, რუსთავის, ქობულეთის, მარნეულის და სხვა ქალაქების საზ. ტრანსპორტის მოსაცდელებზე;
 თბილისის ავტობუსების მოსაცდელებზე რეკლამის განთავსების 20 წლიანი ნებართვა (ვადა გასდის 2036 წელს);	 ავტობუსების მოსაცდელებზე რეკლამის განთავსების 30 წლიანი ნებართვა (ვადა გასდის 2050 წელს);	
 თბილისის აეროპორტის გაფრენის და ჩამოფრენის ზონებში რეკლამის განთავსების ნებართვა (2027 წლამდე);	 ბათუმის აეროპორტში რეკლამის განთავსების ნებართვა (2027 წლამდე);	


შემოსავლების მიმოხილვა



შემოსავლების ჩაშლა მომსახურების ტიპების მიხედვით, მლნ ლარი



შემოსავლების ჩაშლა მომხმარებლების სეგმენტების მიხედვით, მლნ ლარი



- 2024 წელს შემოსავლები 30.8%-ით არის გაზრდილი, რაც უკავშირდება ბილბორდების, მონიტორების, სანებართვო ლაითბოქსებისა და მოსაცდელების შემოსავლების ორგანულ ზრდას. ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი ასევე იყო საარჩევნო წელი, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა რეკლამაზე მოთხოვნა და დადებითად აისახა კომპანიის შემოსავლებზე.
- ბილბორდებზე რეკლამების განთავსების შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 2024 წელს შეადგინა 22,791 ათასი ლარი, რაც 28.6%-იანი ზრდაა 2023 წელთან შედარებით. შემოსავლების ამგვარი ზრდა განპირობებულია ბილბორდების ჯამური ფართობის ზრდით 34,750 კვ.მ-დან (31.12.2023-ის თარიღის მონაცემი) 36,707 კვ.მ-მდე (31.12.2024-ის თარიღის მონაცემი).

*წარმოდგენილია კომპანიის ინდივიდუალური მონაცემები, კონსოლიდირებული ინფორმაციის სანახავედ იხილეთ დანართები;


** ონლაინი მოიცავს ონლაინ მაღაზიებს;

- ობლიგაციის საორიენტაციო პირობები
- კომპანიის მიმოხილვა
- დამფუძნებლებისა და მენეჯმენტის შესახებ ინფორმაცია
- ძირითადი ინდივიდუალური ფინანსური მაჩვენებლები
- საქართველოს სარეკლამო ბაზარი
- მაკროეკონომიკური მიმოხილვა
- ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები
- დანართები



სადამფუძნებლო სტრუქტურა

სადამფუძნებლო სტრუქტურა



მოკლე ინფორმაცია დამფუძნებელთა შესახებ

ემიტენტს ჰყავს ძლიერი დამფუძნებლები, რომლებიც ფლობენ არაერთ წარმატებულ კომპანიას. ბატონი ლევან ფხაკაძისა და ბატონი სამსონ ფხაკაძის მიერ დაფუძნებული კომპანიები წარმატებით ოპერირებენ სხვადასხვა სექტორში:

ავტოგასამართი სადგურები



ავტოგასამართი სადგურების მშენებლობა და ექსპლუატაცია. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვა. იმპორტ-ექსპორტი. გაზისა და გაზის პროდუქტების რეალიზაცია. 120 სადგურზე მეტი მთელი საქართველოს მასშტაბით

სწრაფი კვების რესტორნების ქსელები



სწრაფი კვების ობიექტი, რომელიც ოპერირებს ვენდის გლობალ რესტორნისგან მიღებული ფრანშიზის უფლებით. წარმოდგენილია c. 20 ფილიალით მთელ საქართველოში.



სწრაფი კვების რესტორნების ქსელი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ყავას, დონატებს, სუნდვიჩებს და სხვა. ოპერირებს დანქინ დონატს ფრანჩაიზინგისგან მიღებული უფლებით და წარმოდგენილია c. 80 ფილიალით.



წარმოდგენს Subway-ს ბრენდის ქვეშ არსებულ სწრაფი კვების რესტორნების ქსელს c. 22 მოქმედი ობიექტით.

სუპერმარკეტების ქსელი



სმარტის ბრენდის ქვეშ არსებული სუპერმარკეტების ქსელი c. 40 სუპერმარკეტითა და 600-ზე მეტი დასაქმებულით.

კომერციული უძრავი ქონება



დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებში საოფისე და საცალო ფართების გაქირავება. განთავსებულია 8 ქალაქში, ფლობს 13 საჯარო ცენტრს და 4 ავტო გაზ-გასამართს.

უძრავი ქონების დეველოპერული კომპანია



საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი უძრავი ქონების დეველოპერული კომპანია რომელიც ოპერირებს Biograp Living ის ბრენდის ქვეშ. ახორციელებს 4 მიმდინარე პროექტს თბილისში.



მართვის სამდონიანი სტრუქტურა

პარტნიორობა კრება

იღებს გადაწყვეტილებას ისეთი პრინციპული საკითხების შესახებ, როგორიცაა: წესდების ცვლილება, დივიდენდის განაწილება, ობლიგაციების გამოშვება, რეორგანიზაცია და სხვა.

სამეთვალყურეო საბჭო



ჩამოყალიბებული
კომიტეტი:
აუდიტის კომიტეტი

დამოუკიდებელი წევრები

მჭიდროდ ზედამხედველობს მენეჯმენტის საქმიანობას და მთელი რიგი მატერიალური ტრანზაქციები და გარიგებები საჭიროებს მის თანხმობას.

სამეთვალყურეო საბჭოში ჩამოყალიბებულია აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება 3 წევრისგან, მათ შორის 1 დამოუკიდებელი წევრია. აუდიტის კომიტეტის მიზანია, უზრუნველყოს კომპანიის მმართველობის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის ზედამხედველობა.

ხელმძღვანელი ორგანო

დაკავებულია „კომპანიის“ ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტით.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



სოსო ფსაკაძე

- ფლობს კონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს;
- 1993-2000 წლებში ეკავა სეზ-ის მთავარი დილერისა და საავტოლო სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა;
- 2009 წლიდან არის საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი.



ლევან ფსაკაძე

- მიენიჭა ბიზნესის მაგისტრის ხარისხი კავკასიის ბიზნეს სკოლასა და მოსკოვის ბიზნესის სკოლაში;
- 1992-2000 წლებში ეკავა ხელმძღვანელი თანამდებობები ს.ს. თბილკომბანკში;
- არის არაერთი წარმატებული კომპანიის დამფუძნებელი.



ზასილ ფსაკაძე

- 2017 წელს დამთავრა ბენელის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ფინანსების ფაკულტეტი;
- 2017-2022 მუშაობდაჯე-ფონდ Crossover Capital Partner-ში ბიზნესანალიტიკის მმართველობით;
- ამჟამად იკავებს დეველოპერი კომპანიის - მას ბიოგრაფი ლივინგის დირექტორის პოზიციას.

დირექტორი



გიორგი ტრაკაძე

- 2007-2013 წლის ჩათვლით ეწეოდა საქმიანობას საქართველოს ბანკის კორპორატიულ დეპარტამენტში.
- 2014 წლიდან შეუერთდა აღმას როგორც დირექტორი
- 2016-2019 წლებში წარმოადგენდა მპ დეველოპმენტის დირექტორს;



დავით სვანიძე

აუდიტის კომიტეტის თავჯდომარე,
დამოუკიდებელი წევრი

- ფლობს ბაკალავრის ხარისხს Northeastern University-დან;
- 2023 წლიდან parta sea restorntის სანვესტიციო ურთიერთობების დირექტორი;
- 2020 წლიდან Appolo G.S. Kings Gardenში ოპერაციული დირექტორი;
- აქვს გამოცდილება არაერთ საერთაშორისო კომპანიაში.



გიორგი კაჭარავა

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე,
დამოუკიდებელი წევრი

- ფლობს ბაკალავრის ხარისხს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან;
- არის აისბერგ ფოთის, აშერიქენ მონოლითი თბილისის და ვერაზიხა ტო-ტო-ლანის (ლოჯისტიკა, საზღვაო გადაზიდვები) დირექტორი;


- ობლიგაციის საორიენტაციო პირობები
- კომპანიის მიმოხილვა
- დამფუძნებლებისა და მენეჯმენტის შესახებ ინფორმაცია
- ძირითადი ინდივიდუალური ფინანსური მაჩვენებლები
- საქართველოს სარეკლამო ბაზარი
- მაკროეკონომიკური მიმოხილვა
- ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები
- დანართები




დივერსიფიცირებული და მზარდი შემოსავლები



შემოსავალი და წლიური ზრდა, მლნ ლარი




საერთო მოგება* და EBITDA, მლნ ლარი



*საერთო მოგებაში გათვალისწინებული ცვთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2023 წლის მდგომარეობით შეადგენს 7.8 მლნ ლარს, ხოლო 2024 წელს – 9 მლნ ლარს.

გაყიდვები პროდუქტების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მლნ ლარი




- კომპანიის შემოსავალს წარმოადგენს სარეკლამო მომსახურების სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურება. სარეკლამო მომსახურების გაწევა ხორციელდება რეკლამების ბილბორდებზე, ლაითბოქსებზე, მოსაცდელებზე და სხვა გარე-რეკლამების საშუალებებზე განთავსებით;
- 2023 და 2024 წლებში კომპანიამ სტაბილური ზრდა აჩვენა. 2024 წლის ზრდა (30.8%) განპირობებული იყო ლოკაციების ეფექტური ათვისებით, კლიენტთა რაოდენობის ზრდითა და საარჩევნო წლით, ხოლო 2023 წლის ზრდა ძირითადად სტრატეგიულ პროექტს უკავშირდებოდა - პრესტიჟულ ლოკაციებში დიდი ბილბორდების დამონტაჟებას;
- შემოსავლის ზრდისა და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციის ფონზე, გაზრდილია როგორც EBITDA და EBITDA მარჯა, ისე საერთო მოგება და საერთო მოგების მარჯა.


აქტივების სტრუქტურა




მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა %



აქტივების ჩაშლა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მლნ ლარი



ძირითადი საშუალებების ჩაშლა, მლნ ლარი




- 2024 წელს შპს ალმამ მნიშვნელოვნად გაზარდა აქტივების მოცულობა, მათ შორის მიმდინარე აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდილია 141%-ით, ხოლო გრძელვადიანი აქტივები – 15%-ით, უკანასკნელი ძირითადად დაკავშირებულია ბათუმში მუნიციპალურ ტერიტორიაზე რეკლამების განთავსების 10-წლიანი ნებართვის მიღებასთან;
- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების 37%-ს არამატერიალური აქტივები და ძირითადი საშუალებები შეადგენდა, რომელიც უმეტესწილად, მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ ბილბორდებს და ლიფენზიებს, აღნიშნული წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 39%-ით;
- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთობლივ საწარმოსა და შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციები კომპანიის ჯამური აქტივების 22%-ს შეადგენდა. აღნიშნული ძირითადად ასახავს ინვესტიციებს შპს „ალმა ლისში“, შპს „საკენი ბიოგრაფში“ და შპს „მატიანი ბიოგრაფში“, რომლებიც დეველოპერულ კომპანიებს წარმოადგენენ.

კაპიტალის სტრუქტურა და ვალდებულებების ჩაშლა




კაპიტალის სტრუქტურა, მლნ ლარი




*პრო-ფორმაცია 2024 წლის კაპიტალი გაიზარდა 29.3 მლნ ლარით, რაც განპირობებულია შპს „მილნიუმ თაურის“ და შპს „კოსტავა თაურის“ რეალიზაციით. აღნიშნული კომპანიები გასხვისდა 2025 წლის აპრილში.

ვალდებულებების სტრუქტურა, მლნ ლარი



ფინანსური ვალდებულებების გადანაწილება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მლნ ლარი




- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანმა ვალდებულებებმა 158.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წელთან შედარებით 54.5%-ით არის გაზრდილი. ზრდა ძირითადად სესხების მნიშვნელოვანი (92.3%) მატებით არის განპირობებული, აღსანიშნავია, რომ მიღებული სესხების ნაწილით დაფინანსდა ბათუმის მუნიციპალურ ტერიტორიაზე სარეკლამო საშუალებების განთავსების ნებართვა, ხოლო დარჩენილი ნაწილი გამოყენებულ იქნა სესხების გასაცემად დაკავშირებულ მხარეზე;
- კომპანია ინარჩუნებს დაფინანსების ჯანსაღ სტრუქტურას. მიუხედავად 2024 წელს მიღებული სესხების მნიშვნელოვანი ზრდისა, კომპანიის მთლიანი ვალდებულებები კოეფიციენტი 1.18x-ს შეადგენს, რაც აღნიშნული ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი და მისაღები მაჩვენებელია, ხოლო კომპანიის კაპიტალი საკმარისია რისკების დასაზღვევად;
- 2025 წლის 22 აპრილის მდგომარეობით კომპანიის საბალანსო ფინანსური ვალდებულებები შეადგენს 118 მლნ ლარს.

ლევერიჯი და კოვენანტების შესრულება



წმინდა ლევერიჯის დინამიკა (Net Debt / EBITDA), მლნ ლარი




*პრო-ფორმა ეფექტით, ფინანსური ვალდებულებები გაზრდილია 2025 წლის 22 პერიოდში მიღებული ვალდებულებებით და მს „ალმა ლისისა“ და მს „მილენიუმ თაურის“ იმ სესხებით, რომლებზეც მს „ალმა“ 2025 წლის 30 პერიოდს გახდა თანამსესხი. (აღნიშნული თანამსესხებლობა აღრიცხულია როგორც არასაბალანსო ვალდებულება და მისი ჯაჭური ოდენობა შეადგენს 21 მლნ ლარს)

პროცენტის დაფარვის (ICR) და სესხის მომსახურების (DSCR) კოეფიციენტები

	2023	2024
ICR	2.8x	3.5x
DSCR, PL Based	2.0x	2.4x
DSCR, CAD\$ Based	1.0x	1.9x

1.1x ობლიგაციების კოვენანტი

უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა, %



- მიუხედავად სასესხო ვალდებულებების ზრდისა, 2024 წელს გაუმჯობესებულმა მომგებიანობამ ლევერიჯის კოეფიციენტი უცვლელად 3.2x დონეზე შეინარჩუნა (Net Debt/EBITDA), ხოლო 2024 წლის პრო-ფორმა ეფექტით აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 3.8, რაც დაბალია დადგენილ ზღვართან შედარებით (4.5x) — ზღვარის გადაჭარბების შემთხვევაში კომპანიას უზღუდება დამატებითი სესხის აღება;
- მომგებიანობის ზრდისა და კაპექსის შემცირების ფონზე, DSCR გაუმჯობესებულია და მნიშვნელოვნად აღემატება ობლიგაციებით განსაზღვრულ მინიმუმს (1.1x) — ამ ზღვარის დარღვევის შემთხვევაში კომპანიას უზღუდება გარკვეული ტრანზაქციების განხორციელება;
- უზრუნველყოფის წარმოშობა ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როდესაც თავისუფალი აქტივების კოეფიციენტი $\geq 80\%$. აღნიშნული კოეფიციენტი გამოითვლება როგორც „თავისუფალი აქტივების“ შეფარდება განთავსებული „ობლიგაციების“ ძირ თანხასთან (თავისუფალ აქტივებში არ გაითვალისწინება: გამოყენების უფლება, გაცემული სესხები და ინვესტიციები).


- ობლიგაციის საორიენტაციო პირობები
- კომპანიის მიმოხილვა
- დამფუძნებლებისა და მენეჯმენტის შესახებ ინფორმაცია
- ძირითადი ინდივიდუალური ფინანსური მაჩვენებლები
- საქართველოს სარეკლამო ბაზარი
- მაკროეკონომიკური მიმოხილვა
- ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები
- დანართები




სარეკლამო ბაზრის მიმოხილვა



სარეკლამო ბაზრის მზარდი ბრუნვა, მლნ ლარი



სარეკლამო ბაზრის და შპს „ალმასა“ ზრდის ტემპი (%)



დამატებითი კომენტარები

საქართველოს სარეკლამო საქმიანობისა და ბაზრის გამოკვლევის სექტორი აერთიანებს სარეკლამო სააგენტოებს, რომელთა საქმიანობაც მოიცავს შემდეგს:

- რეკლამის შექმნა და განთავსება გაზეთებში და სხვა პლატფორმებზე;
- გარე რეკლამების განთავსება;
- სარეკლამო მასალების ან ნიმუშების გავრცელება ან მიწოდება;
- სტენდების და სხვა სადემონსტრაციო საშუალებებისა და ადგილების შექმნა;
- მარკეტინგული კამპანიების და სხვა სარეკლამო მომსახურების ჩატარება;
- საპაერო რეკლამა და სხვა;

სექტორი უკანასკნელი წლების განმავლობაში ზრდადი ტემპით ხასიათდება. 2024 წელს სარეკლამო სექტორის ბრუნვამ, თიბისი კაპიტალის შეფასებით 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა. ჯამურად 2019-2024 წლების მანძილზე სექტორის CAGR შეადგენს დადებით 7.8%-ს.

გარე-რეკლამების ბაზარი

- გარე-რეკლამების ბაზარი მოიცავს რეკლამების განთავსებას სხვადასხვა ქალაქებში ბილბორდებზე, ავტობუსების მოსადგელებზე, აეროპორტებსა და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში;
- გარე რეკლამის ბაზარზე შპს „ალმასა“ ფაქტობრივად დომინანტ პოზიციას იკავებს, რაც განპირობებულია თბილისისა და ბათუმში ექსკლუზიური განთავსების უფლებებით და სტრატეგიულ ლოკაციებზე სტაბილური ყოფნით;
- მიუხედავად იმისა, რომ „ალმასა“ შემოსავლების დინამიკა ზოგადად სარეკლამო ბაზრის მოძრაობას მიჰყვება, კომპანია შედარებით მაღალი ციკლურობით გამოირჩევა. 2020 წელს მისი შემოსავლები 40%-ით შემცირდა, მაშინ როცა მთლიანი ბაზრის კლება მხოლოდ 13% იყო. ეს განსხვავება პანდემიის გარდა, ონლაინ აზარტული თამაშების სეგმენტის დროებითი შეწყვეტიდან აიხსნება.

- ობლიგაციის საორიენტაციო პირობები
- კომპანიის მიმოხილვა
- დამფუძნებლებისა და მენეჯმენტის შესახებ ინფორმაცია
- ძირითადი ინდივიდუალური ფინანსური მაჩვენებლები
- საქართველოს სარეკლამო ბაზარი
- მაკროეკონომიკური მიმოხილვა
- ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები
- დანართები



მოკლე მაკროეკონომიკური მიმოხილვა



ქართული მაკრო მიმოხილვა



2024 მშპ ერთ სულ
მოსახლეზე

US\$ 9,141



10-წლიანი საშუალო
რეალური მშპ-ს ზრდა

5.6%



10-წლიანი საშუალო
ინფლაცია

5.0%



10-წლიანი საშუალო FDI
(მშპს-ის%)

7.9%

წამყვანი პოზიცია რეგიონში



ბიზნესის კეთების სიმარტივე

7th ადგილი

მსოფლიო ბანკი, 2020



ბიზნესის დაწყება

2nd ადგილი

მსოფლიო ბანკი, 2020



ქონების რეგისტრაცია

5th ადგილი

მსოფლიო ბანკი, 2020



მექრთამეობის რისკი

44th ადგილი

TRACE International, 2024

სტაბილური სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

FitchRatings

BB

ნეგატიური

S&P Global

BB

სტაბილური

Moody's

Ba2

ნეგატიური

ძირითადი ტენდენციები და მაჩვენებლები

- ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა რეგიონში; 9.7%-იანი ეკონომიკური ზრდა 2021-24 წლებში;
- 2025 წელს გრძელდება მაღალი ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია მიზნობრივ დონესთან ახლოს არის და ლარის გაცვლითი კურსი სტაბილურია.
- უცხოური ვალუტის სტაბილური შემოღინება გრძელდება;
- ფისკალური დეფიციტის და მთავრობის ვალის დაბალი დონე ნარჩუნდება.

- ობლიგაციის საორიენტაციო პირობები
- კომპანიის მიმოხილვა
- დამფუძნებლებისა და მენეჯმენტის შესახებ ინფორმაცია
- ძირითადი ინდივიდუალური ფინანსური მაჩვენებლები
- საქართველოს სარეკლამო ბაზარი
- მაკროეკონომიკური მიმოხილვა
- ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები
- დანართები




დამატებითი განმარტება კონსოლიდირებულ მონაცემებთან დაკავშირებით

წინამდებარე პრეზენტაციაში „ემიტენტის“ კონსოლიდირებული ფინანსური მონაცემების გამჟღავნება ხდება მხოლოდ მარეგულირებლისა და კანონმდებლობის საფუძველზე/მოთხოვნით, საინფორმაციო მიზნით. ამასთან, (ა) „ობლიგაციების“ ძირითადი, ისევე როგორც „საპროცენტო სარგებლის“ გადახდა წარმოადგენს მხოლოდ ემიტენტის ვალდებულებას და (ბ) „ობლიგაციების“ პირობები ვრცელდება მხოლოდ „ემიტენტის“ საქმიანობაზე და არ წარმოშობს რაიმე სახის ვალდებულებებს „შვილობილი კომპანიების“ მიმართ. ამასთან, კონსოლიდირებული მონაცემების გამჟღავნება არ ქმნის „შვილობილი კომპანიების“ რაიმე სახის გარანტიას ობლიგაციონერების წინაშე და გავლენას არ ახდენს „ობლიგაციების“ პირობების ინტერპრეტაციაზე.


დივერსიფიცირებული და მზარდი შემოსავლები



შემოსავალი და წლიური ზრდა, მლნ ლარი




საერთო მოგება* და EBITDA, მლნ ლარი



*საერთო მოგებაში გათვალისწინებული იქნა დამატებითი ხარჯი 2023 წლის მდგომარეობით შეადგენს 7.8 მლნ ლარს, ხოლო 2024 წელს – 9 მლნ ლარს.

გაყიდვები პროდუქტების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მლნ ლარი




- კომპანიის შემოსავალს წარმოადგენს სარეკლამო მომსახურების სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურება. სარეკლამო მომსახურების გაწევა ხორციელდება რეკლამების ბილბორდებზე, ლაითბოქსებზე, მოსაცდელებზე და სხვა გარე-რეკლამების საშუალებებზე განთავსებით;
- 2023 და 2024 წლებში კომპანიამ სტაბილური ზრდა განაგრძო. 2024 წელს შემოსავლები 27.9%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად „ალმას“ ინდივიდუალური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების 30.8%-იანმა ზრდამ განაპირობა. აღნიშნულ პერიოდში „ალმას“ შემოსავალი ჯგუფის საერთო შემოსავლების 95.6%-ს შეადგენდა.
- შემოსავლის ზრდისა და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციის ფონზე, გაუმჯობესებულია როგორც EBITDA და EBITDA მარჟა.


აქტივების სტრუქტურა




მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა %



აქტივების ჩაშლა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მლნ ლარი



ძირითადი საშუალებების ჩაშლა, მლნ ლარი




